

1966

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ნ.ს. ჯ. ლომუხანი და ნ. შალვაშვილი

# 1917

# 1917



დავებდებით დიდად,  
ქლავა, მიღწევა, წინსვლა,  
გვანთებს გენია შენების,  
ვუსმენთ კოსმოსის ქაჩილს,  
წვიმობს დიდი ოქტომბრის  
ორმოცდამეცხრე წლისთავს  
პარტიის საქმის ერთგული  
გმირი საბჭოთა ხალხი!

№ 21 (8247) თბილისი, ნოემბერი 1966

# საქმე

გამოცემის 44-ე წელი ფასი 20 კპ.







ძორი, ვნახო ვენახი,  
რამ შეჯადა ვენახი?  
ძიუელ, ვნახე ვენახი.

1



აქუი

თხამ შეჯადა ვენახი.

2



ძორი ვნახო თხა,  
რამ შეჯადა თხა?  
ძიუელ, ვნახე თხა..


3



აქუი


ძველმა ჯადა თხა

4



ძორი ვნახო ძველი,  
რამ შეჯადა ძველი?  
ძიუელ, ვნახე ძველი,  
თოფმა ჯადა ძველი.

5



აქუი

თოფმა-ძველი,  
ძველმა-თხა,  
თხამ ვენახი  
შეჯადა.

6



თხა და ვენახი... ნიანდისეული ილუსტრაციები

# კომკაქაინა „ნახალნი“

(ვაჟა-ფშაველას „მთანი მაღალნი“ მიხედვით)

დბანან და ვაჭრობენ. უსაზღვროა ქორვაჭრების შემოსავალი. უსაზღვრო მოგებად ჩადის იმათ ჯიბე-ებში. თცდახუთ, ორმოცდაათ, ასამანეთიანებით გამოთვრებით უბეები. გარეთ, სასუხე, არაფერი ეტყობათ. გარდა სისაწყლისა. ეს არის კიდევ ნიშანი ქორვაჭრობისა. ვინ იცის, რამდენი უცხოური საქონელია ქორვაჭრების სახლებში, რა ქონება სდულს და გადმოდის?..

ქორვაჭრებო, ქორვაჭრებო! სად შოულობთ, ვისგან შოულობთ? ნუთუ გყავთ მფარველი ძიები? იქნება, იპარავთ? იქნება, მაღაზიებთანა ხართ შეკრულნი და ნავაჭრს ერთად ინაწილებთ? პასუხი არ იმის. დგანან უსინდისოდ. ვაჭრობდნენ, ვაჭრობენ და კვლავაც ივაჭრებენ. რა გამოლევს იმათ ხელში უცხოურ საქონელს? არა აქვს იმას ბოლო, არც დასასრული, როგორც ხულიგნობას...

როცა ყველა მილიციელს, სახალხო რაზმელს დაეძინება, მხოლოდ მაშინ გაიღიმებენ და ფულებსა თვლიან. ჩვენ, კაცნი, მაშინ ვამბობთ: დღეს რა მშვენიერი ჩეხური ფესსაცმელი ვიყიდე ხელზეო.

რატომ არ მუშაობთ, ქორვაჭრებო! განა, ისე უნდა მოგვკვდეთ, რომ თქვენი პატიოსანი შრომა ვერ დავინახო? რატომ არ გრცხვენიათ? სიწითლე მინც მაჩვენეთ თქვენი, უსირცხვილოებო? მაგრე როგორ გადაგრიათ, შევიპყრათ, დაგიმორჩილოთ საეკულაციამ, რომ სხვა ყოველივე ძალა და ნიშანი ადამიანობისა დათრგუნვილა თქვენს გულ-გონებაში? არა, არა! ხანდახან თქვენც გიჭერენ და ხალხს კი ჰგონია, ვითომ თქვენია ეს ქვეყანა. ხომ ვიცით. რა სახიათზეც დადგებით, როცა მილიციელი დაგადგებათ თავზე და სამორიგეოში წაგაბრძანებთ. რა საცოდავები ხართ მაშინ! როგორ ტირით, იხვეწებით, იმუღარებთ! როგორ გაწუხებთ, რომ ის მილიციელი ასე სატიკი და მოუქრთამავია. განყოფილების გამგეს უამბობს, ატყობინებს თქვენს ამბავს.

არა გაქვთ არავითარი საქონელი? არც ფული? ახლახან არ ვაჭრობდით? როგორ არა! მაშ, რა არის ეს დასტა-დასტა ფულეები, წინდები, წამლები, ჯიბეებში რომ ჩაიწყვიათ? რა არის ეს სამ-სამი ჯემპრი, ორ-ორი პალტო, ხუთ-ხუთი პერანგი, ტანზე რომ გაცვიათ. ეგა თქვენი გასაყიდი საქონელი. რად ისაწყლებთ, რად იმართლებთ თავებს მილიციაში, თუ ჩუმ-ჩუმად არ ვაჭრობთ, ხუთმაგს არ გვახდევინებთ და ტყავებს არ გვაძრობთ ადამიანის შვილებს? რად ამბობთ, სამუშაო ვერ ვიშოვნეთ და აბა რა ვქნათო? რად კანკალებთ? რად ამტკიცებთ, პურის ფული არა გვაქვსო? რად იძახით, გვაპატიეთო... ვის ატყუებთ, თქვენი ცუდებო!


დგანან და ვაჭრობენ. ხალხი ესევეა იმათ. აძლევენ ხუთმაგსა და ათმაგს, ირგებენ ტრიკოტინის პალტოებს, იზომებენ ფესსაცმლებს. მილიციელის სასტვენი ჰფანტავს იმათ ჯგუფებს. ზოგიერთებს ადგილზე აპატიმრებენ. არაფერია! ართმევენ საქონელს, ფულს და აბარებენ სახელმწიფოს. ეგეც არაფერი! მყიდველები მინც ელიან. ქორვაჭრები მინც ახერხებენ თავის დაძვრენას და ჯავრს ახლა „მომხმარებლებზე“ იყრიან: წადით, ვისაც არ გინდათ საუკეთესო ფესსაცმელი და ტანსაცმელი ჩვენგან იყიდეთ, მაღაზიებში იყიდეთ.

სდებს თოვლს. ჰყინავს. ქვა ტყვრება. მოქალაქეებს პალტოები ჩაუცვამთ. ქორვაჭრებს კი მარტო ძველი პიჯაკები აცვიათ, თითქოს პალტოები არა ჰქონდეთ. მოგვხედეთ, ხეირიანი ტანსაცმელი გვაშოვნიეთო, გვეუნებოიან. ჩვენ კი იმათგან მოვევით ტანსაცმელსა.

დგანან და ვაჭრობენ. ცივიათ, ძალიან ცივიათ, მაგრამ სახლებში მინც არ მიდიან. ელიან ვის? ან რას? მუშტარსა და ფულს. ეს მუშტარი და ფულია მათი სახლიც და გათბობაც.

...ივაჭრეს და მორიდდნენ. ხუთმანეთიანი საქონელი ოც მანეთად გაჰყიდეს. ახლა სხვა ახალი მუშტარი მოსწყურებია იმათ თვალსა და გულს. ეს ხომ თვალ-გულის გაუმაძღრობაა? სწორედ რომ ისაა.

ბათუ მელია



ლათინური ამერიკის გუნებრივი სიმღიდრემის მესპლოტაცდის ვაშინებტონური პროექტი



ინგლისი მხარს უჭერს ამერიკის აგრესიას ვიეტნამში.

# ბრძოლა ნიანგს

ჩემო ნიანგო!

როდესაც გაიგებ, რომ მეორე ადამიანსაც შენი სახელი ჰქვია, გაგიხარდება. ასე მოხდებოდა მეგონა, როდესაც გავიგე, რომ ქ. თბილისში, კანდელაკის ქუჩაზე ორი №52-ს სახელი იყო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ყველაფერი უკუღმა მოსდა და ახლა, სიხარულის მაგივრად, ბოღმისგან ვსივდები. ხანდახან სასიხარულო ან სამგლოვარო დეპეშა მოდის და სანამ გავარკვევთ, რომლის დედა გარდაიცვალა, ან რომელია ქორწილი დაპატივებულნი, მიცვალებულს ასაფლავებენ, ხოლო ახალშეუღლებულები საქორწინო მოგზაურობიდან გვიგზავნიან დეპეშას და ყველაფერი თავიდან იწყება. ჟურნალ-გაზეთების ბედს ნულარ მეტყვიით: მათ საქითხაად ერთმანეთთან დავიარებით და ისე გავებზრდით, რომ სამუდამოდ შევიძლეოთ ერთმანეთი. ასევე ხდება გადასახადებზე — მათ გადასახადს ჩვენ ვიხდით, ჩვენსას კი — ისინი.

გვიშველე, ნიანგო! შეამინე მათ, ვისაც ჯერ არს, რომ კოსმოსის ათვისების ეპოქაში სირცხვილია ასეთი გაუგებრობა.

ორგაზადადნომრილანი

ჩემო ნიანგო!

სამამ იმაშია, რომ ზუგდიდში ოქტომბრის ქუჩაზე, ამ ათიოდე წლის წინ საგულდაგულოდ აშენებულ ჰქვას სასურავები ხურდა ფულეზივით დაეკარგათ და ახლა თავახდელი ორმოებში ჩავარდნილი ავტომანქანების გასაჭირის შემხედვარეთ სირცხვილით აღმური გვედება. ორნოში ჩავარდნილ სტუმარს კი გამწვარებულ გულზე ქალაქის საბჭოს მუშაკების ნიშნით ამოუვარდებათ ხოლმე გულისსოსაოხებელი სამსართულიანი თუ ხუთსართულიანი გინება და ვაი, რომ ვერც გამტყუნებ.

ამიტომ გთხოვ, ჩემო ნიანგო, გააფრთხილო ზუგდიდში ავტომანქანით წამოსული მძღოლები, რომ ოქტომბრის ქუჩას უფრთხილდნენ. იქნებ გადაურჩნენ მოსალოდნელ ფაიურსს. და თუ განცების ძალა ისურვებს მათ ორნოში ჩაყურყურებას, ისევ ისინი „შეამკონ“, ვინც ამ საქმეში ნამდვილად დამნაშავენი არიან.

ამიტომ, ჩემო ნიანგო, თუ ზუგდიდს ესტუმრები, უფრთხილდი ოქტომბრის ქუჩას და ღმერთსა და განგებს დაუმაღლე, ორნოში რომ არ ჩავარდი.

3. კახელიზვილი

ფეხქვეშ გავმგის პოლიტიკა.

მთავარი რედაქტორი ნოდარ ლუგვაძე.

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პასუხისმგებელი მდივანი).

ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, გ. ნიშნიანიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნ. შველიძე, თ. ჭელიძე.

თბილისი. სატიროსა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юморический журнал „Нианги“.

საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამოცემლობა

ხელმოწ. დასაბ. 4/11-1966 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კ. ც. გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 3686 უფ 08335 ტირაჟი 55000

